ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2789028

ნომერი: AR1432405

თარიღი : 16.08.2016

გაცემის თარიღი : 23.08.2016

გაცნობის თარიღი : 23.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წითელწყაროს ქუჩისა და , წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახ. N1 , (ნაკვეთი N52/17) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ჯაბუა პ/ნ 51001000976
- სოხუმი ძერჟინსკის ქ. N 29 ბ. 5

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1878230
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.05.2015

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა შ.პ.ს. "პი ბი ჯი"-ს დირექტორის ზ. ჯაბუას (ძველი სახელწოდება შ.პ.ს. "ვინჩი დეველოპმენტი", დირექტორი მ. კაკულია) 2016 წლის 16 აგვისტოს № AR1432405 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი N1–ში (ნაკვეთი N52/17) საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19.05.2015 წლის №1878230 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი–ისანი), წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი N1–ში (ნაკვეთი N52/17), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი N1–ში (ნაკვეთი N52/17) სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2015 წლის 31 ივლისის №ბ-12/15161874-16 ბრძანებით შ.პ.ს. "ვინჩი დეველოპმენტი"-ს დირექტორს მ. კაკულიას უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.